ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და უკრაინის საანგარიშო პალატას შორის

საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახური და უკრაინის საანგარიშო პალატა (შემდგომში – მხარეებად წოდებულნი), გამოხატავენ რა თავიანთ სურვილს მეგობრული ურთიერთობებისა და თანამშრომლობის გასაღრმავებლად, თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1

მხარეები გამოხატავენ მზადყოფნას როგორც ორმხრივი, ასევე მრავალმხრივი თანამშრომლობის განვითარებისათვის, პარტნიორული სულისკვეთების, ურთიერთპატივისცემის, ნდობის, კეთილდღეობისა და თანასწორობის ღირებულებებზე დაყრდნობით – უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) და უმაღლესი აუდიტორული ორგანოების ევროპული ორგანიზაციის (EUROSAI) პრინციპების თანახმად.

მუხლი 2

გამოხატავენ რა საერთო სურვილს ურთიერთობების ეფექტიანობის გაუმჯობესებისათვის ორ უმაღლეს აუდიტორულ ორგანოს შორის, მხარეები ითანამშრომლებენ სხვადასხვა მიმართულებით. თანამშრომლობა შესაძლებელია მოიცავდეს:

- ინფორმაციისა და მეთოდოლოგიის გაზიარებას აუდიტის პრაქტიკების მიმართულებით;
- აუდიტის პროფესიული და ტექნიკური უნარების გაძლიერების მიზნით პროფესიული ტრენინგს;
- კონფერენციების, სემინარების, სხვადასხვა ტრენინგ-აქტივობებისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზებასა და ჩატარებას;
- გამოცდილების გაზიარებას პროფესიული აქტივობების ფარგლებში, რომლის დროსაც მხარეები იხელმძღვანელებენ ეროვნული კანონმდებლობით.

მუხლი 3

წინამდებარე მემორანდუმის შესაბამისად, ინფორმაციისა და მასალების გაცვლისას, მხარეები იხელმძღვანელებენ თავიანთი ეროვნული კანონმდებლობით, რომელიც არეგულირებს საერთაშორისო ინფორმაციის გაცვლას, სახელმწიფო საიდუმლოებისა და სხვა კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვას. ერთობლივი კვლევებისა და პარალელური აუდიტის განხორციელებისას, მხარეები ასევე იხელმძღვანელებენ ეროვნული კანონმდებლობით.

მუხლი 4

საჭიროების შემთხვევაში, მხარეები სამუშაო ფორმატში გამართავენ კონსულტაციებს ამ მემორანდუმის განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ამ მიზნით, მხარეები მიუთითებენ საკონტაქტო პირს შემდგომი თანამშრომლობისათვის.

მუხლი 5

თითოეული მხარე თავად დაფარავს მემორანდუმის განხორციელებასთან დაკავშირებულ, მათ შორის, დელეგაციის ხარჯებს.

მუხლი 6

ერთობლივი მუშაობის შედეგები წარმოადგენს მხარეთა საერთო საკუთრებას. შეზღუდვა გარკვეული მასალების გამოქვეყნებაზე დამოკიდებულია მხარეთა შეთანხმებაზე.

მუხლი 7

მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შეიძლება განხორციელდეს ორივე მხარის წერილობითი თანხმობით, რომლის ძალაში შესვლის თარიღი განისაზღვრება მხარეთა მიერ. ნებისმიერი დავა ამ მემორანდუმის განმარტებასთან ან მის გამოყენებასთან დაკავშირებით, გადაწყდება კონსულტაციების გზით.

მუხლი 8

აღნიშნული მემორანდუმი არ დაარღვევს მხარეთა უფლებებსა და ვალდებულებებს სხვა საერთაშორისო ღონისძიებებთან მიმართებით, სადაც ისინი იღებენ მონაწილეობას ან აპირებენ მონაწილეობის მიღებას.

მუხლი 9

მემორანდუმი ძალაშია ხელმოწერისთანავე.
მემორანდუმი მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.
თითოეულ მხარეს შეუძლია შეწყვიტოს ეს მემორანდუმი მეორე მხარის წერილობითი შეტყობინებით 3 (სამი) თვით ადრე.
მემორანდუმი მომზადებულია ორ-ორ ორიგინალ ეგზემპლარად, თითოეული – ქართულ, უკრაინულ და ინგლისურ ენებზე და ყველა ტექსტი არის თანაბრად ავთენტური. სხვადასხვა ინტერპრეტაციის არსებობისას უპირატესობა მიენიჭება ინგლისურენოვან ტექსტს.
თანამშრომლობის მემორანდუმი უკრაინის საანგარიშო პალატასა და საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს შორის, რომელიც ძალაში შევიდა 2002 წლის 13 მაისიდან ძალას კარგავს ამ მემორანდუმის ძალაში შესვლიდან.

2018 წლის 14 სექტემბერი, ქ. თბილისი, საქართველო

საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახური	უკრაინის საანგარიშო პალატა
ერეკლე მექვაბიშვილი გენერალური აუდიტორი სახელმწიფო აუდიტის სამსახური	ვალერი პატსკანი უკრაინის საანგარიშო პალატის თავმჯდომარე